საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელი I

# კომუნისტი

ხუთშაბათი, 11 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია ვასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 91 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 91

## გერმანია და საქართველო

რამდენიმე დღის წინათ გაზეთებმა მოათავსეს ცნობა, რომ გერმანიამ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ამბავმა სრულიად უმნიშვნელოთ ჩაიარა და ის სრულიად არ შეედრებოდა იმ ზეიმს, რომელიც საქართველოს მესვეურებმა გამართეს 12 იანვარს იმ ცნობის გამო, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა ფაქტიურათ სცნეს საქართველოს მთავრობა და არა მისი დამოუკიდებლობა.

საქართველოს ბატონ-პატრონებს მხოლოთ-თავისი სამრეკლოს ბოძები აინტერესებს და რადგანაც გერმანია დღევანდელ ვითარებაში ამ ბოძებს არც არაფერს მატებს, არც არას აკლებს, რა საჭიროა ამ მოვლენაში უფრო ღრმათ ჩახედვა და მისი ნამდვილი სარჩულის ძიება? აკი ამიტომაც დიდათ არ იწუხებენ ისინი თავს გერმანიასთან ურთიერთობის საკითხის გარკვევით.

ეს საკითხი კი სწორეთ დღევანდელ პირობებშია საინტერესო. ერთ დროს თვით ჩვენმა მოწინაალმდეგეებმა აღნიშნეს, რომ ანტანტის მიერ საქართველოს ცნობა გამოწვეულია არა მისი (ანტანტის) კეთილი სურვილით, არამედ საბჭოთა ჯარების გამარჯვებით და აზერბაიჯანზე მათი მოახლოებით. ასევე შეგვიძლია დავაყენოთ ჩვენ საკითხი გერმანიაზედაც.

რატომ ამდენ ხანს სდუმდა გერმანია? განა ეს სახელმწიფო არ იყო, რომელმაც არა თუ სცნო, არამედ პირველმა შექმნა ეს სახელმწიფოებრივი სხეული? განა იგივე სახელმწიფო არ აწარმოებდა საბჭოთა რუსეთთან ხანგრძლივ მოლაპარაკებას საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ? მაგრამ ყველა ამის შემდეგ მოხდა ის, რომ გერმანიას აღარავინ კითხა არამც თუ სხვა ქვეყნების ბედიღბლის შესახებ, არამედ საკუთარი ქონების და დოვლათის შესახებაც. ის წინდაწინვე გაიგდეს მასზე გამარჯვებულმა ანტანტის სახელმწიფოებმა და მოახვიეს ის წელში გამწყვეტი პირობები, რომელიც მან, ერთ დროს გამარჯვებულმა საბჭოთა რუსეთს მოახვია თავს.

ასეთ სულშემხუთველ პირობებში, რასაკვირველია, გერმანიას საქართველოსთვის აღარ ეცალა, და დიდათაც არ იწუხებდა თავს, თუ მის მწარე ბედს გაიზიარებდა ანტანტის ქუსლის ქვეშ ერთხელ მის მიერ ფაქტიურათ შექმნილ აღიარებული საქართველოს სახელმწიფო.

ამა წლის 12 იანვარს, როდესაც ანტანტა ზეიმით აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, არსად არა სჩანს გერმანიის სახელმწიფო, რომელიც მთლად შთანთქავს საკუთარი ქვეყნის კომუნისტებთან ბრძოლას. გადის ამის შემდეგ თითქმის მთელი შვიდი თვე და გერმანია აცხადებს თავის თანხმობას საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

სიმართლე რომ ვსთქვათ, ეს ვერაფერი დიდი ღვაწლია გერმანიის მხრით, რომელიც ამ განცხადებით არც არაფერს კარგავს და არც არაფერს იძენს. მაგრამ ამდენ ხანს მისი ნეიტრალობა უეჭველიათ რაიმე კავშირში იმყოფება საერთო მდგომარეობასთან.

მოწმენდილ ცაში ქუხილს გავს გერმანიის საქციელი საქართველოს შესახებ, რომელიც მან უკანასკნელათ ჩაიდინა. შექმნილ პირობებში მას არავითარი საშიში პირობები არა აქვს საქართველოში, რომ მის გულისთვის მარტოთ მარტომ ჩაიდინოს ისეთი რამ, რომლის მსგავსი არცერთ დიდ სახელმწიფოს არ ჩაუდენია. და თუ ის ამას მაინც სჩადის, ეს ერთგვარი დემონსტრაციაა ანტანტის წინააღმდეგ, რომელმაც დიდი ხანია მოიწადინა მისი გასრესა. გერმანია წინდაუხედავ ნაბიჯს არ გადადგამს და რაკი მან ანტანტის დაუკითხავათ და შეიძლება მის წინააღმდეგ გაბედა საქართველოს დამოუკიდებლობის საქვეყნოთ აღიარება, აშკარაა ის აღარ ეპუება ამ ქვეყნის ბატონებათ მიჩნეულ ანტანტის ძალებს. ეს კი კაი ნიშანია, რადგან გერმანიის შეუპოვრობა მისი მტრების აშკარა სისუსტეა. ეს მტრები კი დღეს სხვასთან ერთათ პროლეტარიატის მტრებიც არიან.

## ნ. ჟორდანია და ს. დევდარიანი

ნ. ჟორდანიამ გვარდიის ყრილობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა საერთო მდგომარეობის შესახებ. მე არ შევეხები ამ მოხსენებას. საერთოდ ავღნიშნავ მხოლოდ ერთ მის მომენტს. მომხსენებელი არკვევს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას და შემდეგი დასკვნა გამოყავს. რუსეთში იბრძვის მხოლოდ ორი ძალა: ბოლშევიზმი, დღევანდელი რუსეთის მთავრობა,—„მოსკოვი“ და ვრანგელის კონტრრევოლუცია. მესამე ძალა, ძალა „სახელ განთქმული“ დემოკრატიისა არ არსებობს. ამ ორ ძალაში ჩვენ არჩევანი უნდა მოვახდინოთ: ან ბოლშევიზმი, ან ვრანგელი. როგორია ეს ძალები?—კითხულობს მომხსენებელი და უპასუხებს. რუსეთის პირობებში ბოლშევიზმი რევოლიუციონური, პროგრესიული მოვლენაა. ვრანგელი კი, ისტორიიდან განწირული, შავი რეაქციის მებაირახტრეა. „ვრანგელი მოსკოვში—ამბობს ნ. ჟორდანია—ნიშნავს ვრანგელს თბილისშიც“. ამიტომ არჩევანიც მისთვის ცხადია: ბოლშევიზმის მიღება, წინააღმდეგ ვრანგელისა.

ამ რიგად ნ. ჟორდანიამ ნათლად სთქვა, რომ რუსეთის პირობებში, ორი სამკვდრო სასიცოცხლოთ მებრძოლ ძალთა შორის—ერთი,—ბოლშევიზმი—იცავს რევოლიუციას, პროგრესს, მეორე კი,—ვრანგელი,—იბრძვის ძველი რუსეთის წესწყობილების აღსადგენათ, იცავს რეაქციას. პირველი მისაღებია, მეორე კი უარსაყოფი.

თუმცა ყოველივე ეს ნათქვამია ისეთი ტონით, რომ ვითომც და მენშევიკები და თვით ჟორდანია ყოველთვის ასე მსჯელობდენ და ისეთი დასკვნებს აკეთებდენ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს,—გაკვირვებით ვისმინოთ ჟორდანიას ასეთი დასკვნა. და თუმცა იქვე ჟორდანია აცხადებს, რომ მის პარტიაში არ არის არავინ ისეთი, რომელიც არ იზიარებდეს ამ აზრს, ჩვენ ამ განცხადებასაც შეგვიძლია გაკვირვებით და ეჭვითაც შევხედოთ. ფაქტებიც ხელთ გვაქვს. ცოცხალი ფაქტები...

ერთი ასეთი ცოცხალი ფაქტი, რომელიც უარყოფს ჟორდანიას ამ მტკიცებას—არის ს. დევდარიანი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ გაზეთში მოთავსებული იყო ს. დევდარიანის, ხარკოველ მენშევიკურ ჟურნალიდან ამოღებული წერილის ნაწყვეტი. ამ ნაწყვეტში დევდარიანი ნათლად და შეურყევლად გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ რუსეთის პირობებში, ორ მებრძოლ ძალების, ბოლშევიზმის და დენიკინ-ვრანგელის შორის, პირველი (ბოლშევიზმი) თამაშობს რეაქციონურ როლს, მეორე კი (დენიკინ-ვრანგელი) ფაქტიურად რევოლიუციონურს. მოკლეთ: ს. დევდარიანის აზრით: პროგრესის წინააღმდეგ იბრძვის ბოლშევიზმი, ის არის ნამდვილი რეაქცია, დენიკინ-ვრანგელი კი იცავენ პროგრესს და ამ მხრივ რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენენ.

მაშასადამე, ს. დევდარიანი ქადაგებდა სწორედ იმას, რის სრულ წინააღმდეგობას ღაღადებს დღეს ნ. ჟორდანია. შეიძლება ს. დევდარიანმა უარჰყო შემდგომ თავისი აზრი და შეხედულება?.. პირიქით; დევდარიანი დღესაც იმეორებს ამას, თუმცა ცოტათი შეფერებულათ... ის იმასაც კი ცდილობს, რომ თავის „ხარკოველი“ აზრი საფუძვლით დაიცვას თბილისის „ერთობაში“.

და განა მარტო დევდარიანი უარყოფს ჟორდანიას ამ დღევანდელ დასკვნებს? განა მენშევიკების ცენტრალური ორგანოები ყოველ დღე არ გაიძახოდენ: დენიკინ-ვრანგელი და ბოლშევიკები, (რუსეთის პირობებში) ორივე რეაქციონურ ძალებს წარმოადგენენო?! დევდარიანი ჩვენ მხოლოდ იმიტომ გამოვყავით, რომ იგი ყველაზედ უფრო ბრჭყვიალა, ყველაზედ უფრო ნიადაგით გაზრდილი „სორნელოვანი“ ყვითელი ყვავილია, მენშევიზმის ნიადაგზე აღმოცენებული.

რამ გამოიწვია ეს მენშევიკური მწყობრი თვალთახედვაში ჟორდანიას მიერ შეტანილი დისონანსი?..

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ „რეალურ“ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი „დასკვნა“ მთავრობის თავმჯდომარეს დასჭირდა უმთავრესად იმიტომ, რომ ამ პრინციპიალური, თეორეტიული დასაბუთებით—ბნელი საფარით დაემალა თავისი მთავრობის წარსულში სულ სხვა გვარი პრაქტიკული მოქმედებანი...

მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ჩვენ მაინც აღვნიშნავთ, რომ დღესაც არის წინააღმდეგობა მთავრობის თავმჯდომარის—ნ. ჟორდანიას—ამ არჩევანსა და მენშევიკების ც. კ-ის წევრის „ერთობის“ ფაქტიური ხელმძღვანელის, პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარის ს. დევდარიანის დასკვნებს შორის.

ვ. ბახტიარი.

## თერთმეტი წამებულის ხსოვნას.

(ერთი წლის თავზე). *)

პირველი რევოლიუციის დროს, 1905 წ. გურია თამაშობდა გლეხურ-დემოკრატიულ რევოლიუციაში - მებაირახტრის როლს. მაშინ რევოლიუციონურმა გურიამ საქვეყნოთ გაითქვა სახელი, რაც მან სრულიად დაიმსახურა. მთელ საქართველოში იგი ითვლებოდა რევოლიუციის ბუდეთ. მთელი ქართველი გლეხობა, რევოლიუციონურათ განწყობილი წინამძღოლათ და გზის მაჩვენებლათ გურიას ისახავდა. ასე იყო წარსულში.

მარა დრონი იცვალნენ და როლებიც შეიცვალა. რუსეთის მეორე და მესამე რევოლიუციის ხანაში (თებერვალი, მარტი და ოქტომბერ-ნოემბერი 1917 წ.), რომელიც დღესაც გრძელდება, გურია თამაშობს მთელ საქართველოში კონტრრევოლიუციის როლს, ვინაიდან ე. წ. სახალხო გვარდია, რომლის ხელმძღვანელათ და სულის ჩამდგმელათ მენშევიკური გურია გამოდის, გაფთრებული, ცეცხლით და მახვილით იბრძვის რევოლიუციონურ მოძრაობას ჩვენში. ამ ნამდვილ მუშურ-გლეხურ ანუ კომუნისტურ რევოლიუციის მატარებელი შარშან ოქტომბერ-ნოემბრამდე გამოდიოდა იმ კუთხე-მაზრების ღარიბი გლეხობა, რომელიც 1905—6 წ. სამართლიანათ ცნობდა გურიის გლეხობის უპირატესობას, მეთაურობას რევოლიუციაში.

შარშან, 1919 წ. ოქტომბერ ნოემბერში გურიაში იფეთქა აჯანყებამ კომუნისტური დროშის ქვეშ, რომელსაც მიზნათ ქონდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და საბჭოთა წყობილების განმტკიცება საქართველოში,**) ამ კომუნისტურ აჯანყებას თანაუგრძნობდა გურიის მშრომელი ხალხის დიდი უმეტესობა, ე. ი. ყველა ის, ვინც მენშევიკური საწამლავით არ იყო მოწამლული—გამოუყენებელი ან პირდაპირ მოსყიდული „თეთრი თეთრი“ ადგილებით. ეს აჯანყება, როგორც ვიცით, დამარცხებით გათავდა, რასაც მოყვა გაძვინვარებული, გამხეცებული დევნა—რეპრესიები, ციხეები, წამება, დახვრეტა. აღორძინებულმა რეაქციამ საშინელი შური იძია აჯანყებულებზე არა იმიტომ, რომ აჯანყებას დიდი მსხვერპლი მოჰყვა გაბატონებული კლასის მხრით (თითქმის არავითარი მსხვერპლი არ ყოფილა), ვინაიდან ბრძოლის ფრონტი აღარ გაშლილა, სამოქალაქო ომი არ გაჩაღებულა იმავე აჯანყებულების ცდით, რასაც თავისი მიზეზები ქონდა), არამედ იმისთვის, რომ ბოლშევიკ-კომუნისტებისათვის მომავლისათვის „მკურნალობა“ დიდათ მსხვერპლი ამ აჯანყების, მარა უფრო დიდია მისი პოლიტიკურ-მორალური მნიშვნელობა, ვინაიდან ამიერიდან მშრომელი (და არა ჩარჩ-ბაცაც-სპეკულიანტ-ჯალათების) გურია აშკარათ გამოეთიშა მენშევიკურ ანუ ბურჟუაზიულ „დემოკრატიას“ და გადავიდა კომუნისტურ ბანაკში. ამ კომუნისტური გამოსვლით გურიამ სამუდამოთ ჩამოირეცხა ის კონტრ-რევოლიუციონური ლაქა, რომელიც მას მოსცხეს მისმა ულირსმა შვილებმა—ე. წ. დამსჯელი რაზმების მეთაურებმა და სულის ჩამდგმელებმა.

ნოემბრის აჯანყებამ იმსხვერპლა თერთმეტი ჩვენი ამხანაგი, კომუნისტური პარტიის წევრნი. მენშევიკურმა პარტიამ ეს ტყვე-კომუნისტები ჯერ აწამა და მერე დახვრიტა. ვინ იყვნენ ეს ამხანაგები? ყველა ესენი იყვნენ უბრალო შრომის შვილნი, ღარიბი გლეხები გურიის სხვა და სხვა კუთხიდან. იმათ ზურგი შეაქციეს მენშევიკებს, როგორც მშრომელი ხალხის მოღალატე-გამცემ პარტიას, და შეგნებულათ გადმოვიდნენ ბოლშევიკების მხარეზე. იმათ ხელმძღვანელობით ქონდათ შეთვისებულ-შესისხლხორცებული ის უბრალო, მარა დიადი ჭეშმარიტება, რომ ერთად ერთი შეუპოვარი, დაუღალავი და თავგანწირული დამცველი არა მხოლოთ სიტყვით, არამედ საქმით, მოქმედებით, ბრძოლით, მშრომელი და დაჩაგრული ხალხის,—არის ბოლშევიკური, ანუ კომუნისტური პარტია. ისინი გამსჭვალული იყვნენ პარტიული რკინის დისციპლინით, ე. ი. ყოველ წამს მზად იყვნენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვათ ის პოსტი, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში ჩააბარებდა მათ პარტია: და როცა დადგა ასეთი წამი, პარტიის მოწოდების თანახმათ, ისინი მტკიცეთ გამოვიდნენ ბრძოლის ველზე. მათ ღირსეულათ შეასრულეს დაკისრებული საქმე. პარტიული მეთაურების ბრძანების თანახმათ მათ ხელი აიღეს ბრძოლაზე და უკან დაიხიეს, თუმცა პირადათ მათ ერჩივნათ ბრძოლის გაგრძობა და გაჩაღება. ვერაგმა მტერმა ისინი მუხანათურად ხელში ჩაიგდო და, ბარბაროსული წამების შემდეგ, ტყვისმფრქვევლებით დაფლით-დაგლიჯა. მათ დაპირდნენ: თუ დაგვნებდებით და იარაღს ჩაგვაბარებთ, არ დაისჯებითო. ისინიც დაინდვენ გაიძვერა მტრის მუხანათურ დაპირებას და გახდენ მსხვერპლი გამოუცდელობისა და რევოლიუციონური გულუბრყვილობისა. მათ, სამწუხაროთ, კიდევ სწამდათ „ძლევამოსილი“ მტრის ოდნავი პატიოსნება მაინც.

ჩვენთვის მეტად მწვავე და აუტანელია არა ის, რომ ეს სიცოცხლით სავსე პატიოსანი სოფლის მშრომელი ახალგაზრდები მსხვერპლათ შეეწირენ კომუნისტურ რევოლიუციას, ასეთი მსხვერპლი მრავალი იყო და კიდევ აურაცხელი იქნება საერთაშორისო კომუნისტური რევოლიუციის ხანაში, ვინაიდან უდიდესი საკაცობრიო საქმე, ისტორიაში ჯერ სრულიად არ გაგონილი, ასეული მილიონი მონების განთავისუფლება მსოფლიო ავაზაკების ბურჟუა-კლანჭებისაგან და შრომის მეფეების დამყარება მთელ ჩვენ პლანეტაზე, — აუცილებლათ უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენთვის მწვავე და აუტანელია არა მათი სიკვდილი კომუნიზმისათვის, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ისინი ყოველ წამს მზათ იყვნენ—თავი გაეწირათ საყვარელი იდეისთვის. ჩვენთვის წვავე და აუტანელია, ჩვენ განუსაზღვრელათ გვაშფოთებს ის, რომ ისინი ჯერ აწამეს და მერე მოკლეს, როგორც ტყვე კომუნისტები, დაქირავებულმა მკვლელებმა. დიდი და დაუფასებელია ღვაწლი კომუნიზმის წინაშე სამოქალაქო ბრძოლის ველზე გმირულათ დახოცილების. მარა უფრო დიდია და დაუფასებელი ღვაწლი თერთმეტი გურული კომუნისტის, რომლებიც აწამეს ტყვეობაში, ხელ-ფეხ შეკრულ-შებოჭილნი. ვინ იცის, რას ფიქრობდენ, რას განიცდიდენ ეს უბრალო ხალხიდან გამოსული გმირები სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს, როცა საუკუნოთ ესალმებოდენ თავისიანებს, ცოლ-ამხანაგებს და მთელ ქვეყანას! განუსაზღვრელი იყო ამ დროს მათი განცდა, ფიქრი და სევდა, ჩვენთვის გამოუცნობი. მარა ერთი აზრი, ერთი დაგვიანებული ნატვრა უეჭველათ ელვასავით გაურბენდა მათ თავში: ბედნიერია ყველა ის, ვინც გაფთრებული ბრძოლის დროს კვდება.

რა უანდერძეს ამ წამებულებმა მშრომელ გურიას? რა იყო მათი უკანასკნელი ამოძახილ-ამონაკვნესი? თავგანწირული ბრძოლა კომუნიზმისათვის, შეუჩერებელი ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე და რევოლიუციონური შურის ძიება. ბრძოლა და შურის ძიება!—აი რის ამოხრიალება მოასწრეს მათ, სანამ მათი, სიცოცხლით მოჩუხჩუხე და ახალგაზრდა, სხეულნი ნათლეთებათ იქცეოდენ.

ისინი იყვნენ კომუნისტური რევოლიუციის პირველი მერცხლები გურიაში, რომლებმაც თავისი სიკვდილით დაუბრუნეს მას (გურიას) საპატიო ადგილი ახალი რევოლიუციის ისტორიაში. ამ წამებულების უმანკო სისხლმა ბრმებსაც კი აუხილა თვალი მშრომელ გურიაში და ნათლათ, აშკარათ, მთელი სიგრძე-სიგანით დაანახა მათ, თუ რას ნიშნავს: ბოლშევიკური (ანუ კომუნისტური) რევოლიუცია და მენშევიკური (ანუ წვრილ-ბურჟუაზიული) კონტრ-რევოლიუცია.

გაცუდდა ჯალათების ანგარიში, რომლებიც ლამობდენ—კომუნისტების წამებით და ცოფ-მორეული ტერორით კომუნიზმი ერთბაშათ ამოეძირკვათ გურიაში. მოხდა პირიქით: ნოემბრის დღეებიდან კომუნისტურმა იდეებმა უფრო ღრმათ და მკვიდრათ გაიდგეს ფესვები მშრომელი გურიის ფართო მასსაში. და ეს გამარჯვებით გვაახლოვებს

---

*) ამ წერილის მოთავსება 9 ნოემბ. ნომერში ტეხნიკური მიზეზის გამო ვერ მოხერხდა. რედ.

**) თავის თავათ ცხადია, რომ აქ ლაპარაკია მხოლოთ გურიის აჯანყებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ საბოლოო გამარჯვებასთან. აი რა ნაყოფი მოგვიტანეს ჩვენ წამებულებმა. და ამისათვის ღირდა სიკვდილი, ღირდა წამებაც...

წამებულო ამხანაგებო! თქვენ პირნათლათ შეასრულეთ თქვენი წმინდა ვალი. თქვენ მტლად დაეცით ჩვენ კომუნისტურ იდეალს. თქვენი სახე, გაბრწყინვებული მოწამებრივი შარავანდედით, მუდამ სათაყვანებელი და გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იქნება ყველა მებრძოლ კომუნისტისათვის.

დღეს, წლის თავზე, ჩვენ თქვენი თანამებრძოლი ამხანაგები, მუხლმოდრეკით მოგიგონებთ თქვენ. ჯალათები კი უნდა ძრწოდენ თქვენი წმინდა აჩრდილის წინაშე.

**კომუნისტი.**

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

**დაჩაგრულ ხალხთა პროტესტი.**

**მოსკოვი,** 9 ნოემბ. ირლანდიის, ეგვიპტის და ოსმალეთის დაჩაგრულ ხალხთა კავშირმა თავისი წარმომადგენლის საშვალებით წერილი გაუგზავნა ლოიდ-ჯორჯს. წერილში გამოთქმულია პროტესტი ინგლისის აფიცრების და მთავრობის წარმომადგენლების მხრით დესპოტიური და მხეცური ყოფაქცევის ამ ქვეყნებში ჩადენის წინაამდეგ.

**გადასახლება.**

**მოსკოვი,** 8 ნოემბ. საფრანგეთის მთავრობამ ირლანდიის სიმფეინერების წარმომადგენლებს საფრანგეთში წინადადება მისცა დასტოვონ 24 საათის განმავლობაში პარიზი.

### სტამბოლში.

**ბათუმი,** 7 ნოემბ. სექტემბერში განზრახული იყო სტამბოლიდან ქემალისტური პროპაგანდით მოწამლული შავკანიანი ჯარები გაეყვანათ და სამშობლოში დაებრუნებიათ. ახლა ეს განზრახვა შესცვალეს. ხომალდებში ჩამსხდარი ნაწილები ისევ ნაპირზე გადმოიყვანეს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ საფრანგეთის და იტალიის მთავრობები ინგლისელი ჯარების საბერძნეთის ჯარებით შეცვლას არ დასთანხმდენ.

**არჩევნები საბერძნეთში.**

**სტამბოლი,** 25 ოქტომბერი. საბერძნეთში მომხდარ არჩევნების გამო გაზ. „ორიენ ნიუსი“ სწერს:

„ხშირათ ქუჩებში და ყავახანებში ხმაურობა და არასასიამოვნო სცენები იმართება. ვენიზელისტები და ოპოზიციის მომხრენი ერთმანეთში აყალ-მაყალს მართავენ, რაც ხშირათ ცემა-ტყეპით თავდება.

მაგალითად, გუშინ ყოფილი პრეფექტი დრამი-გულასი (ოპოზიციის ბელადი) თეთრ კოშკიდან გამოსვლისას შეურაცხყვეს, შემდეგ კიდეც მიბეგვეს. ამ ინციდენტმა ძლიერ აღელვა ორივე პარტია.

ოპოზიცია დიდ იმედებს ამყარებს ადგილობრივ ოსმალებზე. უკანასკნელნიც უთუოდ მხარს დაუჭერს ოპოზიციას. მათ ვენიზელოსი ოსმალეთის გამანადგურებლათ და მილიტარიზმის განმახორციელებლათ ყავთ წარმოდგენილი. ოპოზიცია კი თავის თავზე ამბობს, რომ მას ყველა ხალხებისთვის მოაქვს მშვიდობიანობა და განსაკუთრებით ოსმალეთის შიმართ კი დიდი კეთილი განწყობილებით არის გამსჭვალული.

**საფრანგეთის მილიტარიზმზე.**

**ნაუენი,** 8 ნოემბერი. (რადიო). რურის ოლქის დაკავების გამო, „ევერ“-ში ჟუვენელი სწერს:

„საფრანგეთი ხარჯავს თავის არმიაზე 800 მილიონ ფრანკს წელიწადში.

რურის ოლქის დაკავების სურვილი უაზრო პოლიტიკაა, რომელიც მოითხოვს არმიაში ორი წლის სამსახურს. ცხოვრების გაძვირება და სიღარიბე დანგრეულ ოლქებში იწვევს საერთო ალშფოთებას“.

„დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი იტყობინება, რომ საფრანგეთს ყავს იარაღქვეშ 350.000 კაცი, 100.000 გერმანელების წინაამდეგ. საფრანგეთის არმია 100 ათას კაცისაგან შემდგარი შეადგენს გარნიზონს რეინის ოლქისას, 500 ათასი იმყოფება შიგნით საფრანგეთში, 90 ათასი სირიაში, 120 ათასი კი აფრიკაში.

**ახალი გამარჯვება.**

**მოსკოვი,** 10 ნოემ. გაზ. „იზვესტია“ სწერს, რომ შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევნების დროს სოციალისტების კანდიდატმა დებსმა მიიღო 3 მილიონი ხმა. ეს კოლოსალური გამარჯვებაა ჩრდილოეთ ამერიკის რევოლიუციონური მოძრაობაში. არა სოციალისტ—კანდიდატის ხმა არ აცილდება 1 მილიონს. შექმნილ მდგომარეობაში ძნელია იმის თქმა, რომ მუშების კანდიდატის გაყვანა გამარჯვებაა. ბურჟუაზია მძვინვარებს, საუკეთესო რევოლიუციონერები, თავგანწირული მებრძოლები მუშათა მოძრაობის საკეთილდღეოთ ციხეებში არიან ჩამწყვდეულნი. ამერიკის მშრომელმა მასსებმა გაითვალისწინეს ეს მდგომარეობა და თავისი ხმით მოისურვეს ბურჟუაზიულ კანდიდატის დამარცხება. სოციალისტ-კანდიდაზე მიცემული 3 მილიონ ხმა—ეს დიდი წინსვლაა შეერთებულ შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში. დებსი არა მარტო სოციალისტური კანდიდატია, ის თითქმის კომუნისტია. ამერიკის მთავრობამ „დემოკრატია“ ვილსონის მეთაურობით მიჩქმალა დებსი ციხეში, სანამდი ეს კომუნისტური ინტერნაციონალი შეუღებოდა და ამიტომაც არ ვიცოდით ჩვენ დებსის ნამდვილი მრწამსი, მაგრამ ის კი ვიცით ჩვენ, რომ დებსი ამერიკის რევოლიუციონურ მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელია. 3 მილიონი ხმა რევოლიუციონერ კანდიდატს—ეს დიდი ამბების მომასწავებელია ატლანტიის იქითა მხარის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### გერმანიაში

**მოსკოვი,** 8 ნოემ. ბერლინში ელექტრო-ტეხნიკების დიდი გაფიცვაა. რკინის გზის სახელოსნოს და წყალსადენის მუშების დელეგატები იხილავენ გაფიცულებთან შესაერთებლად კითხვას.

**კიდევ იტალიის გემ „ანკონის“ დაკავებაზე**

**მოსკოვი,** 10 ნოემბერი. თემთა პალატაში კონვორტი ბრიტანიის მთავრობას შეეკითხა შავ ზღვაში მყოფ ბრიტანიის ესკადრისადმი არის თუ არა გაცემული განკარგულება, რომ ან შეუშალონ ხელი მშვიდობიან ვაჭრობას ადესასთანო. ბონარ-ლოუმ უპასუხა, რომ მშვიდობიან ვაჭრობას ხელს არავინ შეუშლისო. მაგრამ შეკითხვაზე, თუ რატომ დააკავეს იტალიის გემი „ანკონა“, რომელიც საქონლით დატვირთული ნოვოროსიისკში მიდიოდა, მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევის შესახებ არაფერი ვიცითო. საბჭოთა მთავრობის ნოტის თანახმათ გამოძიება სწარმოებს.

**პროფესიონალურ კავშირების გაერთიანებული საერთაშორისო ყრილობა**

**მოსკოვი,** 10 ნოემბერი. 22 ნოემბერს ლონდონში გაიხსნება პროფესიონალური კავშირების გაერთიანებული საერთაშორისო ყრილობა.

**შორეულ აღმოსავლეთში**

**მოსკოვი,** 9 ნოემბ. შორეულ აღმოსავლეთის კონფერენციაზე ჩიტაში არჩეულ იქნა დროებითი საქმიანი მთავრობა რომელმაც დეკლარაციის სახით გამოაცხადა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ტერიტორიათ—ბაიკალიდან წყნარ ოკეანემდის მდებარე ტერიტორია. ამ ტერიტორიაზე მთელი ძალა უფლებაუფლების დროებით მთავრობის ხელში. სამხედრო უფლება გადადის უმაღლეს სამხედრო სარდლობის ხელში. ყველა პარტიზანებს წინადადება ეძლევა დაემორჩილოს სამხედრო სარდლობას ან და დაყაროს იარაღი. მეორე ბრძანებაში ნათქვამია, რომ მთელ შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიაზე სავალდებულოა რ. ს. ფ. ს. რ.-ფულის ნიშნების ხმარება, აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთისა და ვლადივასტოკის მთავრობის ფულის ნიშნები. დროებით საქმიან მთავრობაში შევიდენ წევრებათ: კრასნოშჩეკოვი,—შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკიდან, ნიკიფოროვი—ვლადივასტოკიდან, მათვეევი—ამურიდან, ორი უპარტიო გლეხები—ივანოვი და შელლუსოვი და მუშები—კუზნეცოვი და ივანოვი.

**რას ესწრაფის საფრანგეთი**

**მოსკოვი,** 8 ნოემბ. (რადიო). ინგლისის პოლიტიკური მოღვაწე გარდიწერი სწერს:

„საფრანგეთის პოლიტიკა არ აძლევს ნებას გერმანიას და ავსტრიას ეკონომიურ აღორძინებისას. საფრანგეთის გენერლების გავლენით პოლონეთში ბატონობს ყველაზე უფრო გონება დაკარგული იმპერიალიზმი, რომელიც უკარგავს ამ მხარეს მომავლის იმედებს. საფრანგეთის პოლიტიკა უჭერს რა მხარს ვრანგელს, შეუძლებლად ხდის ზავს რუსეთთან. ჰუნგრეთი ხდება საფრანგეთის იმპერიალიზმის მოწინავე პოსტად, სადაც ადგენს 350.000 ჯარს. საფრანგეთის ხელშეკრულება ჰუნგრეთთან ხდის უკანასკნელს საფრანგეთის კაპიტალის ყმათ.

**საყოველთაო გაფიცვა ბერლინში.**

**ნაუენი,** 9 ნოემბ. (რადიო). ბერლინის საელექტრონო სადგურზე გაფიცვა გრძელდება. ქალაქში არ არის სინათლე. სადამიოობითი ქალაქი მოცულია სიბნელით. მუშებთან მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებულა, თუმცა გაფიცვის კომიტეტი ლაპარაკობს, რომ გაფიცვას არა აქვს პოლიტიკური მიზანიო. ბერლინში ფიქრობენ, რომ კომუნისტებს უნდათ თავისი ძალა გამოაჩინონ. ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს სასტიკ ზომებს გაფიცვის წინაამდეგ. მთავრობა ჯერ არ ღებულობს ზომებს, ფიქრობს საქმის გათავებას მშვიდობიანი გზითო.

**გაფიცვის გაგრძელება ინგლისში.**

**მოსკოვი,** 9 ნოემ. (რადიო). მაღაროებში გაფიცვა გრძელდება. ასეული გემები დგანან ნავთსადგურში. შეფილდში დაითხოვეს 85 ათასი ლითონის ჩამომხსნელები. ლონდონში ყოველ დღე ხდება უმუშევრების კრებები. ორატორები მოითხოვენ ზამთრის დადგომამდის სამუშაოს.

**კერენსკი და პოლონეთის კონტრ-რევოლიუციონერები.**

**ნაუენი,** 9 ნოემ. (რადიო). გერმანული გაზეთი „როტე ფანს“-ი აქვეყნებს დაწვრილებით სიას იმ საგნებისას და სამხედრო იარაღებისას, რომელიც კერენსკიმ თავის მატარებლით ვარშავაში წაიღო.

**ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავი გერმანიაში.**

**ნაუენი,** 9 ნოემ. (რადიო). რუსეთის რევოლიუციის სამი წლის თავის აღსანიშნავად, გერმანიის მემარცხნე დამოუკიდებელ კომუნისტებმა მოაწყვეს ლიუსტგარტენში და ბერლინში მრავალრიცხოვანი მიტინგები. 10.000 კაცმა საბჭოთა ვარსკვლავებით მორთულმა მოაწყო მანიფესტაცია. ათი ორატორი უთითებდენ კომუნისტურ მოძრაობის ძლიერებაზე და მის გამარჯვების აუცილებლობაზე.

**გაფიცვა ზემო სილეზიაში.**

**ნაუენი,** 9 ნოემ. (რადიო). ზემო სილეზიაში ელექტრონის მუშების გაფიცვა გრძელდება.

**გაფიცვა შტეტინში.**

**ნაუენი,** 9 ნოემ. (რადიო). შტეტი[ნში] გაიფიცენ სავაჭროების მუშები. დ[იდი] ნაწილი კანტორების და მაღაზი[ების] დაკეტილია.

**მოკავშირეთა კამისია გამბურგში.**

**მოსკოვი,** 10 ნოემბერი. მოკავშირ[ეთა] კამისიამ გამბურგში მდგომი რუს[ული] გემი „სუბბოტნიკი“ გაჩხრიკა. საბჭ[ოთა] წარმომადგენელმა ბერლინში—კომ[უნი]რმანიის მთავრობას საპროტესტო ნო[ტა] წარუდგინა, იმის გამო, რომ გერმან[იის] მთაორობამ საბჭოთა რესპუბლიკის მო[წი]ნააღმდეგე სახელმწიფოების კამის[იას] საშვალება მისცა გაეჩხრიკა საბჭ[ოთა] რუსეთის გემი.

**„მხნელნი“.**

**მოსკოვი,** 10 ნოემბერი. საფრანგ[ეთის] მთავრობამ ლოტარინგიაში დადგენ[ილე]ბა გამოუშვა, რომლის ძალით ფუ[ლით] აჯარიმებენ იმათ, ვინც გერმანულ [ენა]ზე დაილაპარაკებს.

**გაფიცვა ბერლინში.**

**მოსკოვი,** 10 ნოემბერი. ბერლი[ნის] ელექტრონზე მომუშავეთა გაფიც[ვა] გრძელდება. ტელეფონების და ტრამ[ვაის] მუშაობა სრულიად შეწყდა. ტრანსპ[ორ]ტის მუშებმაც გადაწყვიტეს დაიწყონ [გა]ფიცვები.

**ბრიტანიის წინადადება გერმანიისად[მი].**

**ნაუენი,** 10 ნოემბერი. ხუთშაბ[ათს] ინგლისმა გერმანიას კონტრიბუციის [გა]დახდის ახალი მოდუსი წარუდგინა. [ამბობენ] გავიგე, რომ გერმანია სთანხმდება [...] წლის ვადით გადიდვას კონტრიბუც[იის] რაოდენობის გამომუშავება. ინგლისე[ლე]ბი დარწმუნებული არიან, რომ გერ[მა]ნიას არსებული ფინანსიურ-ეკონომი[ური] მდგომარეობის გამო საფრანგეთ[ის] წარდგენილი ზავის პირობების ასრუ[ლე]ბა არ შეუძლია. ბრიტანელების აზრ[ით] ეს მოთხოვნილებების ასრულება უნ[და] გადაიდოს იმ დრომდის, სანამ გერ[მა]ნია ეკონომიურათ და ფინანსიურათ [გა]ღონიერდებოდეს.

**პოლონეთის მთავრობის განცხადებ[ა].**

**მოსკოვი,** 10 ნოემ. (რადიო). 21 [ოქ]ტომბერს, პოლონეთის უმაღლესმა მ[თა]ვარსარდლობამ გასცა ბრძანება, რ[ომ] შეწყვეტილ იქმნას ყოველგვარი კავ[შირი] პოლონეთის ჯარისა პეტლიურას[თან] და გენერალ ბალახოვიჩთან. პოლონე[თის] მთავრობა აცხადებს, რომ მან განუც[ხადა] და პეტლიურას და ბალახოვიჩს, [რომ] იმათი ჯარები 2 ნოემბრის შემდეგ [თუ] მოჩნდება პოლონეთის ტერიტორია[ზე] ისინი იქნებიან განიარაღებულნი. [...] წინააღმდეგობას გასწევენ, კიდეც გა[ძე]ვებული პოლონეთიდან. ამ ბრძანე[ბის] თანახმად ბალახოვიჩის რაზმები გა[ნია]რაღეს, რომლებიც იყვნენ პოლონე[თის] ტერიტორიაზე და ჰქონდათ მძიმე ა[რ]ტილერია და ჯავშნიანი მატარებლე[ბი] ვნახოთ როგორ შეასრულებს ამ ბრძა[ნე]ბას პოლონეთის მთავრობა შემდეგ[ში].

**მუშათა მოძრაობა ბერლინში.**

**ნაუენი,** 10 ნოემბერი. წინააღმდ[ეგ] იმპერიის და პრუსიის მთავრობის და[დ]გენილებისა პროფესიონალურ კავშ[ი]რებმა მოაწყვეს ბერლინში 9 ნოემბე[რს] ...

---

**ლ. ტროცკი.**

## პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 85).

### IV. დემოკრატიული კომუნა და რევოლიუციონური დიქტატურა.

ამხ. ლენინი უკვე უთითებდა კაუცკის, რომ კომუნის დასურათება, როგორც ფორმალური დემოკრატიის გამომხატველის, წარმოადგენს ნამდვილ თეორეტიულ შარლატანობას. კომუნა თავისი ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიის,—ბლანკისტების,—ტრადიციით და განზრახვებით, იყო გამოხატულება რევოლიუციონური ქალაქის დიქტატურისა მთელ დანარჩენ ქვეყანაზე; ასე იყო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს; ასე იქნებოდა 1871 წლის რევოლიუციაშიც, რომ კომუნა მალე არ დაცემულიყო. ის ფაქტი, რომ თვითონ პარიზში მთავრობა იქნა არჩეული საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე, ვერ უარყოფს მეორეს, უფრო დიდ მნიშვნელობიან ფაქტს, სახელდობრ: კომუნის ე. ი. ქალაქის სამხედრო მოქმედებებს წინააღმდეგ გლეხური საფრანგეთისა, ე. ი. წინააღმდეგ მთელი ქვეყნისა. რომ დაკმაყოფილებინათ დიდი დემოკრატი კაუცკი კომუნის რევოლიუციონერებს პირველათ ყოვლისა წინდაწინვე უნდა დაეკითხათ საყოველთაო ხმის მიცემის საშვალებით საფრანგეთის მთელი მცხოვრებნი, ნებას დართვდენ ისინი მას ეომოს ტიერის ბანდებს, თუ არა. და ბოლოს, თვითონ პარიზში არჩევნები მოხდა მას შემდეგ, რაც იქიდან უკვე გაიქცა ტიერის მომხრე ბურჟუაზია, ყოველ შემთხვევაში მისი უფრო აქტიური ელემენტები და აგრეთვე მას შემდეგ, რაც გაყვანილი იქნა პარიზიდან ტიერის ჯარები. ქალაქში დარჩენილ ბურჟუაზიას კი, მიუხედავათ მისი უტიფრობისა, შიინშ ეშინოდა რევოლიუციონური ბატალიონების, და არჩევნებიც ჩატარდა ამ შიშის ნიშნის ქვეშ: ეს შიში იყო წინათგრძნობა შემდეგში აუცილებელი წითელი ტერორისა.

თავის დაიმედება იმითი, რომ ნაციონალური გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა რომლის საუბედუროდ ძალიან ზანტი და ულაზათო დიქტატურის დროს ჩატარდა არჩევნები კომუნაში—არ გაილაშქრა საყოველთაო ხმის მიცემის პრინციპის წინააღმდეგ, მართლაც რომ ნიშნავს საწმენდის ჩრდილით წმინდა კარეტის ჩრდილი.

ამ უნაყოფო დაპირისპირებებში კაუცკი სარგებლობს იმით, რომ მისი მკითხველი არ იცნობს ფაქტებს. პეტერბურგში დეკემბერს, 1917 წელს ჩვენც ავირჩიეთ კომუნა (ქალაქის დუმა) „დემოკრატიულ“ ხმის მიცემის საფუძველზე, სადაც სრულიადაც არ იყო შეზღუდული ბურჟუაზიის უფლებები. ამ არჩევნებმა, რომელსაც ბურჟუაზიული პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, მოგვცა ჩვენ დიდი უმრავლესობა. *) „დემოკრატიულად“ არჩეულმა დუმამ ნებაყოფლობით დაემორჩილა პეტერბურგის საბჭოს, ე. ი. ფაქტი პროლეტარიატის დიქტატურისა დააყენა საყოველთაო ხმის მიცემის „პრინციპზე“ მაღლა; რამოდენიმე ხნის შემდეგ კი თავისივე განკარგულებით, მან (დუმამ) თავისი თავი დაშლილათ გამოაცხადა და თავის საქმეები გადასცა პეტერბურგის საბჭოს ერთ-ერთ განყოფილებას. ამ რიგათ პეტერბურგის საბჭოს—ამ ნამდვილ მამას საბჭოთა ძლიერებისა—მიღებული აქვს არა ნაკლებად ვიდრე პარიზის კომუნას, მაღლი ფორმალური „დემოკრატიული“ მირონცხებისა.

— „26 მარტის არჩევნებში კომუნაში გავიდა 90 წევრი. მათ შორის—15 წევრი მმართველი პარტიისა (ტიერის) და ბურჟუაზიულ რადიკალების, რომლებიც, თუმცა ოპოზიციაში უდგნენ მთავრობას, მაგრამ წინააღმდეგი იყვნენ აჯანყების (პარიზის მუშების).

— „საბჭოთა რესპუბლიკა,—გვასწავლის კაუცკი,—არას დროს არ დართავდა იმის ნებას, რომ მსგავსი კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები დაშვებული ყოფილიყვნენ კანდიდატებათ. არჩევაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. კომუნა კი, გამოდიოდა რა დემოკრატიის პატივცემიდან, არაფრით არ უშლიდა ხელს თავის ბურჟ[უა]ზიულ მოწინააღმდეგეთ არჩევნებში (გვ. 55—56) ჩვენ უკვე დავინახეთ [ზე]ვით, რომ კაუცკი აქ ყოველ მხრივ თ[ი]თით ცას წვდება: რუსეთის რევოლ[იუ]ციის განვითარების ანალოგიურ სტა[დი]აზე ხდებოდა დემოკრატიული არჩ[ევ]ნები პეტერბურგის კომუნაში, როდ[ის]აც საბჭოთა მთავრობა არაფრით არ უ[შ]ლიდა ხელს ბურჟუაზიული პარტი[ებს] და თუ კი კადეტები, ეს-ერები და მენშ[ევი]კები, რომელთაც ქონდათ თავისი საკუ[თა]რი პრესა, რომელიც აშკარათ მოუწოდ[და] და საბჭოთა ხელისუფლების ძირს ჩამ[ოა]გდებას,—ბოიკოტს უცხადებდენ არჩ[ევ]ნებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯ[ერ] კიდევ იმედი ქონდათ—სულ მოკლე [ხან]ში გაუსწორდებოდით სამხედრო ძალის [სა]შუალებით ბალშევიკებსო. ეს პირველ[ი], მეორეთ ის, რომ არავითარი, ყვე[ლა] კლასების შემაერთებელი დემოკრა[ტია] არ მიუღიათ პარიზის კომუნაშიაც. ბურ[]ჟუაზიულ დეპუტატებს—კონსერვატორ[]ებს, ლიბერალებს, გამბეტისტებს,—(კომუნაში) ადგილი არ დაურჩათ.

(შემდეგი იქნება).

*) ინტერეს მოკლებული არ იქნება აღვნიშნო, რომ პარიზში 1871 წელს კომუნალურ არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა 230,000 ამრჩეველი. 1917 წ. დეკემბერს პეტერბურგის ქალაქის არჩევნებში, მიუხედავათ არჩევნების ბოიკოტისა ყველა პარტიების მხრივ, გარდა ჩვენი და მემარცხენე ესერებისა—ამ უკანასკნელს პეტერბურგში თითქმის არავითარი გავლენა არ ქონდათ—მონაწილეობას ღებულობდა 400,000 ამომრჩეველი. პარიზში 1871 წელს იყო 2 მილიონი მცხოვრებნი, პეტერბურგშიაც 1917 წ. ამდენივე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ჩვენი საარჩევნო სისტემა გაცილებით უფრო დემოკრატიული იყო. ნაციონალური გვარდიის ცენ. კომიტეტი არჩევნებს აწარმოებდა იმპერიის ძველი საარჩევნო კანონის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაული. ამ დღეს გაზეთები არ გამოსულა, მოძრაობა იყო მხოლოთ სახელმწიფო რკინის გზებზე, მოძრაობდენ აგრეთვე ავტობუსები. დემონსტრაციები არ ყოფილა, დილით ყველა მაღაზიები გააღეს.

**გაფიცვების გათავება.**

**ნაუენი**, 10 ნოემბერი. ზედა სილეზიის ელექტრონის ქარხნის მუშათა გაფიცვა გათავდა, რადგან ქარხნის კომიტეტმა აკრძალა გაფიცვა.

**ფრანგები ელზასში.**

**ნაუენი**, 10 ნოემბერი. მთავრობამ აცნობა საპარლამენტო კომისიას, რომ ფრანგებმა ელზას-ლოტარინგიდან გადაასახლეს სამი ათასი გერმანელი.

**იარაღი მოკავშირეთ.**

**ნაუენი**, 10 ნოემბერი. გერმანიის მცხოვრებთა განიარაღება გრძელდება. უკვე ჩამორთმეულია 12 ათასი ტყვიის მფრქვეველი და ორი მილიონი ვინტოვკა.

**რა ხდება ბავარიაში.**

**ნაუენი**, 10 ნოემ. დასაწყისი არ მიგვიღია. აიძულებს დაემორჩილოს ბრძანებას. ჯერჯერობით მთავრობა ვერავითარ ზომებს ვერ იღებს. ბავარიის შეიარაღებული ძალა უარს ამბობს ორგეშის (?) წინაამდეგ გალაშქრებაზე. ჩვენ ეხლა ველოდებით მთავრობის განცხადებას იმაზე, რომ ბავარიამ შეასრულა მოკავშირეთა კომისიის ბრძანება. გენერალ ნოლეს ნოტა მოითხოვს ორგეშის დაუყონებლივ განდევნას და იმუქრება სასტიკი ზომებით, რაც მიღებულ იქნება ფრანგების მიერ, თუ რომ გერმანელები არ დაემორჩილებიან განკარგულებას. ერთი ამ ზომათაგანი იქნება რურის ოლქის დაკავება. ამ შემთხვევაში საფრანგეთი მიუხედავათ ინგლისის მუქარისა, შეასრულებს თავის მუქარას. საფრანგეთის ასეთი გამოსვლა დიდ უთანხმოებას გამოიწვევს ლონდონსა და პარიზს შორის. ინგლის-საფრანგეთ შორის დამოკიდებულება უამისოთაც გამწვავებულია საზავო პირობების გამო. ინგლისმა კარგათ აგრძნობინა საფრანგეთს, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს იმას, რომ საფრანგეთმა რურის ოლქი დაიკავოს.

**კონსტანტინოპოლის პოლიტიკის შეცვლის მიზეზები**

**კონსტანტინოპოლი**, 25 ოქტ. მთავრობის გადადგომის გამო გაზეთი „ვაკიტი“ სწერს:

„შეთანხმების სახელმწიფოებმა ზავზე ხელის მოწერამდი წაუსიეს ბერძნები იმ მალეთს, რომ გადაეწყვიტა ანატოლიის საკითხი და საბერძნეთის ჯარები უტევდენ მცირე აზიაში კონსტანტინოპოლის მთავრობის მიერ ზავის მოწერის შემდეგაც.

მაგრამ როგორც კი ბერძნებმა აიღეს ერთ მხრივ უშაკი და მეორე მხრივ ბრუსსა, როგორც მოხდა მოულოდნელი ცვლილება საბერძნეთის სამხედრო შტაბმა მიიღო ბრძანება შეჩერებისა. ჯერ არ ვიცით მთავარი მიზნები ბერძნების შეჩერებისა, მაგრამ მაინც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ექს-ლებენში ფრანგებმა და იტალიელებმა გადასწყვიტეს მშვიდობიან გზით მოაგვარონ ანატოლიის საკითხი.

და რადგანაც ორმა მოკავშირემ გადასწყვიტა, ინგლისს არ შეუძლია აღუდგეს წინ დადგენილებას, ასეთმა ცვლილებამ ანტანტისაში ანატოლიის საკითხში იქაც იქონია გავლენა; ის არის მიზეზი მთავრობის გადადგომისა“.

# საბჭოთა რუსეთში

**სურსათის დაგროვება.**

**მოსკოვი**, 7 ნოემბ. (რადიო). სურსათის დაგროვების საქმე პუგაჩოვის მაზრაში კარგად მიდის. ბევრმა სოფლებმა დააგროვა სურსათი, რაც შეწერილი ჰქონდათ, ბევრმა კი ნორმაზე მეტიც. პუგაჩოვში ფრონტის საჭიროებისათვის მოაგროვეს 70 ათასი მანეთი, ბევრი საცვლები და სხვა და სხვა ნივთები.

**მუშათა ძალის განაწილება.**

**კავკავი**, 7 ნოემბ. იმის გამო, რომ საბჭოთა დაწესებულებებში არ არის სწორად დანაწილებული კვალიფიკაციური მუშები, კავკავის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა კომისია ოლქის სასურსათო კომიტეტისაგან, მუშურ-გლეხური ინსპექცია ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და ოლქის შრომის კომისარიატი, და დაევალოს მათ, გამოკვლევის შემდეგ თუ რამდენი მუშაა ოლქში, გაანაწილოს მუშა ძალა საბჭოთა დაწესებულებებში სამუშაოთ.

**მუშურ-გლეხური ინსპექცია.**

**კავკავი**, 7 ნოემ. თერგის ოლქის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მიმართა ყველა მწარმოებელთა კავშირებს გამოგზავნონ 80 წარმომადგენელი მუშურ-გლეხურ ინსპექციაში სამუშაოდ და კონტროლის გასაწევად.

**ეკონომიური თათბირი.**

**კავკავი**, 7 ნოემ. ოლქის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების წარმომადგენლების ეკონომიურმა თათბირმა დაათავა თავისი მუშაობა. თათბირმა გამოარკვია საწარმოების რაოდენობა, რომელიც პროფესიონალურ კავშირებში არის და კავშირის წევრებ შორის ამ საწარმოების განაწ. წესდებაც შეადგინა.

**მუშების გამოკვების გაუმჯობესება.**

**კავკავი**, 7 ნოემბ. ოლქის პროფ. კავშირთა საბჭომ მიიღო ზომები, რომელიც მიმართულია მუშების გამოკვების გასაუმჯობესებლად. მიაქციეს აგრეთვე ყურადღება, რათა დაუყოვნებლივ მიეცეს მუშებს შეშა.

**არჩევნები ინგუშეთში**

**კავკავი**, 7 ნოემ. მთელ ინგუშეთში, 5–6 სოფლის გამოკლებით საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები საოლქო ნარზანის ყრილობაზე დასასწრებლად კარგად მიდის. ყველგან ირჩევენ კომუნისტებს და მის თანამგრძნობლებს. ყრილობა დანიშნულია კავკავში 10 ნოემბერს.

**ოქტომბრის რევოლუციის დღე**

**მოსკოვი**, 10 ნოემ. (რადიო). „პრავდას“ მოწინავე სწერს, რომ ოქტომბრის რევოლუციის იუბილეის დღეს, როდესაც ჩვენ გაუკეთეთ ჯამი ჩვენს შემოქმედებას, არც მტრებმა დაგვივიწყეს. ყველა ბურჟუაზიული გაზეთები სავსეა ცნობებით ვითომ ნიჟნინოვგოროდში აჯანყებულებმა, სმოლენსკში აჯანყდენ ჯარისკაცები რიცხვით ათასი კაცი, აჯანყებულებმა გარეკეს ადგილობრივი საბჭოები, მოსკოვში ბრძოლებია ქუჩებში, უწესოებაა საბჭოთა რუსეთის ყველა დიდ ქალაქებში. ასე ცდილობენ გამოხატონ ბურჟუაზიის მწერლებმა საბჭოთა იუბილე. ამ ტყუილების ნიადაგის შემწეობით მოქალაქე კერენსკი აფასებს მიმდინარე მომენტს: ,,არც ლენინს, არც ვრანგელს რუსეთის ხალხი არ გაყობა, რუსეთის ხალხი მათ არ ენდობა. გაყობა ის მხოლოდ მათ, ვინც დარჩა ხალხთან“.

ამას სწერს კერენსკი—ხალხის ,,გმირი“. არც ერთ დროს საბჭოთა ძალაუფლება არ ყოფილა ისეთი მტკიცე და მაგარი, როგორც ამ დღეს. ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სამხედრო ფრონტს, მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ არც შინაურ სახალხო მეურნეობის ფრონტსაც, და ბურჟუაზიულ ანტანტას კერენსკისას სწამს, რომ ბოლშევიკური პსიხოლოგია ამოწურულია ხალხის მიერ. რამდენი თეთრების მთავრობა ცნო ანტანტამ რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ მუშურ-გლეხური რესპუბლიკა მათ სასტიკათ ამარცხებდა. როგორც ჩრდილები ისე არიან დღეს ჩვენს წინ მილიუკოვი, კერენსკი, კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი და უკანასკნელად ვრანგელიც. და ყველა ეს მოხდა რევოლუციის სამი წლის განმავლობაში. რამდენი ჯაფა დაუჯდა მშრომელ ხალხს ამ გვირგვინოსან გენერლების განადგურება და მოინახებიან კიდევ სულელები ფრონტების იქით, რომლებიც ლაპარაკობენ, რომ ისინი ხალხთან არიან. მუშათა რესპუბლიკა, რომელსაც ცნობს მთელი ქვეყნის პროლეტარიატი, აიძულებს თავის მტრებს იცნონ ის მაშინაც კი, როდესაც ეს ხალხი მიატოვებს ლაპარაკს, რომ ბოლშევიკური ფსიხოლოგია ამოწურულია მშრომელ ხალხის მიერ.

**საზღვარ-გარეთის წარმომადგენლის მიღება**

**მოსკოვი**, 10 ნოემ. (რადიო). 9 ნოემბერს მოსკოვში შესდგა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილი მიღება საზღვარ-გარეთის წარმომადგენლებისა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის გამო. წარმომადგენლები იყვენ შემდეგ ქვეყნებიდან: გერმანია, ოსმალეთი, სპარსეთი, საქართველო, ლატვია, ლიტვა, ავსტრია და ჩეხოსლოვაკია.

**ჩიჩერინი** თავის სიტყვაში მიესალმა წარმომადგენლებს და გამოთქვა იმედი, რომ მომავალ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის დროს ყველა ხალხს ექნება კეთილი განწყობილება საბჭოთა რუსეთთან.

**ტყვეების დაბრუნება.**

**მოსკოვი**, 10 ნოემ. (რადიო). ოდესაში მოვიდა გემი, რომელმაც მოიყვანა 2,900 რუსი ტყვე.

**სანიმუშო ციფრები.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბ. ტამბოვის გუბერნიაში გახსნას 175 საბავშვო დაწესებულება, მათ შორის—100 სოფლად. სულ გუბერნიაში გაიხსნა სამი ათასზე მეტი სასწავლებელი. ამის გარდა გახსნეს 545 ბიბლიოთეკა, 730 სამკითხველო ქოხი, 190 შკოლა მოზრდილთათვის, 45 სახალხო სახლები და სამი უმაღლესი სასწავლებელი.

**ამნისტია უკრაინაში**

**მოსკოვი**, 7 ნოემბ. ოქტომბრის რევოლუციის სამი წლის თავის აღსანიშნავათ საბჭოთა უკრაინის მთავრობამ ამნისტია გამოაცხადა. ამნისტიის ძალით სასჯელისაგან თავისუფლდებიან ყველა ისინი, ვისიც დანაშაული საბჭოთა უკრაინის წინაშე არ იყო მეტათ მძიმე ხასიათის. სასჯელიდან თავისუფლდებიან აგრეთვე ისინი, ვინც სამართალშია მიცემული და სასჯელი კი დღემდე არ მიუციათ.

**დახმარება წითელ არმიას**

**ხარკოვი**, 4 ნოემბ. წითელ არმიის სასარგებლოთ ხარკოვში მოგროვდა მილიონ ნახევარზე მეტი ფულათ და იმდენი ნივთები, რომ არსებულ სამი საწყობის გახსნეს კიდევ სამი ახალი საწყობი.

**საბჭოთა მშენებლობის საქმე ჩრდილოეთში.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბ. არხანგელსკის გუბერნიაში საბჭოთა მთავრობის 7 თვის არსებობის დროს გუბსოვნარხოზმა დაამზადა სამას ათასი ცალი ტყავი. უკვე დამთავრდება ელექტროფიკაცია ქ. ქ. პინეგის, შენკურსკის, ალექსანდროვსკის და კოლიხის. გახსნეს 24 სოციალურ უზრუნველყოფის საზოგადოება, 14 პროფესიონალური შკოლა და კურსები, 24 საბავშვო სახლი, 10 საბავშვო ბაღი, 55 საზაფხულო მოედნები და სხვა მრავალი დაწესებულებები.

**ოქტომბრის წლის თავის შემდეგ.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბერი. „იზვესტია“ სწერს: „დიდი ამოცანები უდევს წინ სოციალისტურ რესპუბლიკას თავის არსებობის მეოთხე წელიწადში. სახალხო მეურნეობის აღდგენის საკითხი პირველ რიგში უნდა დაისვას თვით მშრომელთა მიერ. საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის მესამე წელიწადი საბჭოთა აღმშენებლობის გადატეხის ხანათ უნდა ჩაითვალოს. თავისი არსებობის მესამე წელიწადში საბჭოთა რესპუბლიკა პირველათ შეუდგა მრეწველობას, ტრანსპორტის და სასოფლო მეურნეობის აღდგენას.

თავის არსებობის მეოთხე წელიწადში საბჭოთა რესპუბლიკამ მესამე წელიწადში დაწყებული მუშაობა უნდა გააფართოვოს და გააძლიეროს. მეოთხე წელიწადმა შრომის ფრონტზე უნდა მოგვცეს სერიოზული და თვალსაჩინო ნაყოფი. რუსეთის მუშები მშვიდობიან შრომისკენ ისწრაფიან. მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენი ყურადღება ფრონტისკენ უნდა იქნეს მიმართული, ჩვენი რესპუბლიკის დასავლეთ საზღვრებზე ბალახოვიჩის და პეტლიურას ბანდები გამოჩდენ. საფრანგეთის მებირჟეების პრესა ამ დაქირავებულების მოქმედებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის ხასიათს აწერს. ამასთან ერთად, ვრანგელის დამარცხების შემდეგ, ჩვენ მოგვიხდება მძიმე ბრძოლის წარმოება ყირიმის გასაწმენდათ. წითელმა არმიამ საბოლოოთ უნდა შემუსროს მუშების და გლეხების ყველა მტრები“.

**ოქტომბრის რევოლუციის აღსანიშნავათ.**

**მოსკოვი**, 8 ნოემ. ვლადიმის რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა დაადგინეს შეაკეთონ და გამოუშვან ორთქლმავალი შემდეგი წარწერით: „ოქტომბრის რევოლუციის სამი წლის თავის დღის აღსანიშნავათ“.

**ახალი უნივერსიტეტი.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბერი. ვოლსკში (სარატ. გუბ.) უნივერსიტეტი გახსნეს.

**მოზარდი გოლიათი.**

**მოსკოვი, 8 ნოემ. „პრავდა“-ს მოწინავეში სწერია:**

# დღიური.

**ყირიმის ფრონტზე წითელმა ჯარმა აიღო სივაში და შეიჭრა ყირიმში.**

**გერმანიაში გაფიცვა ფართო ხასიათს ღებულობს.**

**იტალიაში მუშები ფაბრიკებს იტაცებენ.**

„მიუხედავათ მრავალ მტერთა ბოროტი სურვილების და ზრახვებისა, საბჭოთა რესპუბლიკა 3 წელიწადია არსებობს. წითელი დროშა—აჯანყების სიმბოლო ამაყათ ფრიალებს მუშების და გლეხების რესპუბლიკის თავზე. იგი მოუწოდებს მთელი ქვეყნის მაშვრალთ და დაჩაგრულთ რევოლიუციონურ აჯანყებისკენ. სამი წლის განმავლობაში საგრძნობათ იცვალა იერი, შინაარსი ჩვენმა ცხოვრებამ: არ არიან კლასები, კაპიტალისტები და მემამულეები. ყველა შრომობს, ყველასთვის გახსნილია გზა კულტურისაკენ“.

**სრულიად რუსეთის საბჭოთა მერვე ყრილობის არჩევნები.**

**მოსკოვი**, 7 ნოემ. (რადიო) სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა მიმართა ყველა საგუბერნიო და რევოლიუციონურ კომიტეტებს, რათა დაიწყონ არჩევნები საბჭოთა მერვე ყრილობისათვის, ამისათვის წინასწარ მოიწვიონ საგუბერნიო ყრილობები.

ს. რ. ც. ა. კ. აცხადებს, რომ ყრილობა გაიხსნება 20 დეკემბერს.

**ბამბის წარმოებისათვის კრედიტის გადება.**

**ბაქო**, 30 ოქტ. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოს მიეცა **225** მილიონი მანეთი ბამბის წარმოების გასაფართოებლად.

**შემახის მაზრა.**

**ბაქო**, 30 ოქტ. შემახის მაზრის რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილების თანახმად, მიეწერა მიწის კომიტეტს შეუდგენ დაუყონებლივ ზედმეტი ხორბლის დაგროვებას და ამ ხორბლის ულარიბეს მცხოვრებლებს შორის სთანასწორ განაწილებას.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატიული რადიო ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის ,,რევოენსოვეტისა“ 9 ნოემბრიდან**

**მოსკოვი**, 10 ნოემბერი (რადიო). პერეკოპის რაიონში ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას მტრის გამაგრებულ პოზიციების დასაჭერად. აღმოსავლეთით ჩვენი წითელი ნაწილები ბრძოლით გადავიდენ სივაზე და შევიდენ ყირიმის ნახევარ კუნძულზე.

საველე შტაბის ვოენკომის მაგიერ—კლიმ.

**იტალიაში.**

**მოსკოვი**, 10 ნოემბ. (რადიო). იტალიის მთავრობამ უარი განაცხადა შავი ზღვის ნაპირების ბლოკადაში მონაწილეობაზე, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება დადგენილებას რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩარევისას. ქ. ბაზში მუშებმა დაიკავეს ფაბრიკა, სამუშაო ქირის საკითხის კონფლიქტის გამო.

**გაზ. „ახალ რუსი“-ს ჩივილი.**

**მოსკოვი**, 10 ნოემბ. (რადიო). გაზეთი „ახალი რუსი“, რომელიც გამოდის ვენაში ვრანგელის ხარჯზე, ძალიან უკმაყოფილოა, რომ ანტანტა მხოლოდ სიტყვით დაეხმარა ვრანგელს. ხატავს რა ვრანგელის ჯარების უმწეო მდგომარეობას, გადმოგვცემს, რომ ვრანგელის არმია ტიტველია და მშიერი. გაზეთი აცხადებს, რომ ვრანგელი იძულებულია ლუკმა პური ტანისამოსში მისცეს.

# საქართველოში

**უარყოფა.** გაზეთ „სლოვო“-ს 9 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია შენიშვნა „ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავი“, რომელიც ლაპარაკობს:

„კვირას, შვიდ ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავის აღსანიშნავად, შენობაში რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენლობისა საქართველოში იყო დღესასწაული: საერთო კრება მისიის მოსამსახურეებისა და საქართველოს კომუნისტურ პარტიის პასუხისმგებელ ორგანოებისა“.

რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენლობასთან არსებული პრესბიურო აცხადებს, რომ წარმომადგენლობის შენობაში არავითარი პარტიული კრება არ ყოფილა საქართველოს კომუნისტურ პარტიისა.

— **მხოლოდ რამოდენიმე ღარიბი მოწაფე.** ს. წინამძღვარიანთკარიდან ,,ერთობის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ იქაურ სასწავლებელში ,,ძნელადღა მოდიან მოწაფენი. თუმცა სკოლასთან პანსიონია, მაგრამ მოწაფეებს სასყიდელს სთხოვენ. ურიგო არ იქნებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს, ანუ სათანადო უწყებას ეკისრა ამ სასწავლებელში რამდენიმე ღარიბი მოწაფის უფასოთ აღზრდა“.—მხოლოდ რამდენიმესი? და ნარჩენმა ღარიბმა მოწაფეებმა რა ქნან?

— **თბ. ქალაქის გამგეობამ** მიმართა შრომის სამინისტროს თხოვნით, რათა უკანასკნელმა მიიღოს ზომები, რომ განსაზღვრულ სამუშაო დროს არ ხდებოდეს კრებები, როგორსაც ადგილი ქონდა 26 ოქტომბერს. წინააღმდეგ შემთხვევაში კრების წევრთ გამოერიცხებათ ჯამაგირიდან იმდენი სამუშაო დროს ღირებულება, რამდენიც მათ მოანდომეს კრებას, ნაცვლათ მუშაობისა.

— **მოთმინებასაც საზღვარი აქვს.** გაზ. „ახ. სხივში“ ვინმე ქადარა შემდეგს სწერს:

„ყველასათვის ცხადია, რომ მუშათა კლასი აუტანელ გაჭირვებას განიცდის. მართალია მუშათა კლასი მუდამ დაჩაგრული იყო სხვებთან შედარებით, მაგრამ ის სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მოწინააღმდეგებთან მთავრობისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ და იუმჯობესებდა პირობებს. ეხლა ასეთი ბრძოლა დაუშვებლად მიგვაჩნია ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. განვაგრძობთ ყოველივე გაჭირვების მოთმენას. მაგრამ, გვიწევენ ანგარიშს? 18 წელიწადია ს. დ. პარტიაში ვმუშაობ. წრფელის გულით შეძლების გვარად და ბედნიერი ვიყავი მანამდე, სანამ ჩვენი ძველი ხელმძღვანელების დღევანდელ საქმიანობას არ გავეცანი. დღეს კი წინააღმდეგს ვხედავ, მუშათა კლასმა თავის ბრძოლით და სისხლით მხოლოდ რამოდენიმე ძველი ამხანაგებისათვის მოიპოვა უზრუნველყოფილი ცხოვრება და მეტი არაფერი. თუ სინამდვილეში ჩავიხედავთ, თითქოს ძველებურად არის ყველაფერი მართვა-გამგეობაში: ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება გრძელდება, დამნაშავენი ღირსეულად არ ისჯებიან, წოდებათა გაუქმება მხოლოდ ქაღალდზედ დაიწერა, ცხოვრებაში ისევ ძართი ალაგი უჭირავს, ამის მაგალითებია როგორც სოფლად, ისე ქალაქად; ამიტომ არის უკიდურეს გაჭირვებაში როგორც სოფლის დიდი ნაწილი ღარიბი გლეხობა, ისე ქალაქის მუშები.

მართალია აქ გარეშე პირობებიც არის დამნაშავე, მაგრამ როგორია შინაური დამოკიდებულება? ძალიან გულის გამტეხი; საერთოდ უმაღლესი მოსამსახურეებისათვის ყველაფერი დაუზოგველია—ჯამაგირი, ბინა, სანოვაგე, ჩაცმა ავტომობილ-ფაეტონებიც დროს სატარებლათ. მუშებისათვის კი არც ერთი რამ, რომელნიც ოდნავ შეუმსუბუქებს ტანჯულ ცხოვრებას. ყველა ზემო თქმულს კარგად გრძნობენ მუშები და სამწუხაროდ მოთმინებაც თან და თან ივსება და მიერეკება უფსკრულისაკენ. ამიტომ მეტი კონტროლი და ანგარიში უნდა გაუწიოთ ხალხის ქონებას, მეტი ყურადღება გაჭირვებულ მუშებს და გლეხებს, სოციალიზმის დაპირება და გრძელი სტატიების წერა საქმეს ვერ უშველის, მაშინ როდესაც ყოფნა არ ყოფნის კითხვა სდგას. (,,ახალი სხივი“ № 28)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის
# ფურცელი
№ 12 № 12

## კომუნისტური ახალგაზრდობა და საქართველოს მენშევიკური მთავრობა

„ახალგაზრდობა ეს დიდი ძალაა; საბოლოო გამარჯვება მისია — ვის მხარეზედ დადგება ახალგაზრდობაო" სთქვა ამხ. ზინოვიევმა და მართლაც თუ გავიხსენებთ ახალგაზრდობის მსხვილ მნიშვნელობას და აქტიურ როლს ყოველ რევოლიუციონურ და განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომ ის თავის მდგომარეობით მოწოდებულია ანგრიოს ძველი, აშენოს ახალი, რომ მან, როგორც მემკვიდრემ მამათა საქმე უნდა განაგრძოს და დააგვირგვინოს — მაშინ მივხვდებით, რომ მუშურ გლეხურ ახალგაზრდობის სიმპატია და მიდრეკილება ერთგვარი საზომი, უტყუარი ბარომეტრია პარტიის ან ჯგუფის ცხოველმყოფელობის, ხანგრძლივობის, ისტორიის და ცხოვრების მსვლელობაში მტკიცე ფესვების ქონებისა, მტკიცე იმედისა, რომ მათი საქმე მათთან ერთად არ მოკვდება და პოვებს თავის ბუნებრივ განმაგრძობელს მომავალ თაობის სახით.

ამ თვალსაზრისით რომ მიუდგეთ მენშევიკურ პარტიას, მისი მდგომარეობა პირდაპირ დამაღონებელია და კატასტროფიულია: მათ ვერ შეუძლიათ იმის თქმა რომ მომავლისთვის მუშაობენ, მათ ვერ შესძლენ მოზარდ, ახალთაობის დარაზმვა რომ ჩააბარონ, უანდერძონ მათ თავის შექმნილ ნაცოდვილები საქმის გაღრმავება.

ის გარემოება, რომ მენშევიკებმა ვერ შეძლენ დამხმარე რაზმის, მებრძოლთა ახალი კადრის მომზადება, რასაკვირველია აღონებთ მათ, მაგრამ მათი გაწამაწია, მათი ცდა „ახალგაზრდა მარქსისტების" ორგანიზაციის შექმნისა ბრწყინვალეთ ჩავარდა, გაკოტრდა.*) სანუგეშოთ ერთიღა დარჩენიათ „ჩვენ საუკუნეს გვეყოფა, ჩვენ შემდეგ თუგინდ წარღვნაო". ამიტომაა რომ ამ უიმედობის მთავრობამ ასე გამწარებით, გაფაციცებით კბილ ინება ჩვენ კავშირზე ყურადღების მიპყრობა. მას მიზნათ დაუსახავს გაანადგუროს რევოლიუციის ერთგული დარაჯი—საქარ. კომუნ. კავშირი, სისტემატიურ, გამუდმებულ დევნით სისხლიდგან დაწრიტოს კომუნ. პარტიის ეს მძლავრი რეზერვი.

ლეგალურ პირველ ყრილობის უხეშათ გარეკა, გაუწყნარებელი რეპრესიები, დაცემა გადასახლება საუკეთესო აქტიურ ამხანაგების უძლიერეს თბილისის ორგანიზაციიდგან, ასე რომ ამ ბედშავ კავშირს ლხის სული ამოხადონ, გამოგუდონ. კავშირის უმაღლეს ორგანოს ცენტრ. კომიტეტის წევრებზე ნადირობა, სამ მათგანის ზედი ზედ დაჭერა (ამხ. სუმბულოვ არაკელოვის, სოხუმის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლის ცენტრ. კომიტ., ამხ. იზორიასი(?) გ. დევდარიენისა), მთელი თბილისის კომიტეტის დატუსაღება ლეგალურ ჩვეულებრივ კრებაზე—ყველა ეს საზიზღარი ფაქტები ნათლად ააშკარავებს მთავრობის მზაკვრულ შავ-ბნელ გეგმებს. (აღსანიშნავია ერთი მოვლენა: დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩვენ სწრაფი ნაბიჯებით მივეშურებით ევროპის კულტურა-ცივილიზაციისკენ — განსაკუთრებულ რაზმის პროგრესი შეუდარებელია, მან გადმოიღო კულტურულ ბარბაროსების ყველა პრიომები, ცემა, სისხლის დენა, წამება, რაც შეადგენდა ამდენხანს სისხლის ძალლის(?) მონოპოლია-პრივილეგიას).

თუმცა კომუნისტებს არასოდეს არ აწუხებდნენ მენშევიკურ სამოთხეში სამოქალაქო უფლებებით, მაგრამ ჩვენ მაინც მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ამ საზიზღრობას, ამ უმიზნო დევნა-ნადირობას; აგვიხსნან რითაა გამოწვეული ეს უმაგალითო რეპრესიები, ნუ თუ არა ლეგალურ მუშაობით, შეიარაღებულ აჯანყების მომზადებით? პასუხი ნათელი და აშკარაა: საკუთარი მარცხით გულდათუთქული, გაბრაზებული მენშევიკები ჩვენს კავშირზე იყრიან ჯავრს, მათ ვერ მოუნელებიათ ჩვენი ზრდა-განვითარება. ნუ თუ გონიათ ბ.ბ. მენშევიკებს რომ კომუნისტური, წითელი ახალგაზრდობა საქართველოსი ულალატებს ან მტრის წინაშე ძირს დაუშვებს იმ დროშას, რომელიც სისხლით შეღებეს ჩვენი მოძრაობის მამამთავრებმა—დაუვიწყარ კარლ ლიბკნეხტ და როზა ლიუქსენბურგმა, ან გონიათ რეპრესიებით შეგვაშინონ? სასაცილოა, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ „прочно дело, когда под ним струится кровь", ჩვენ ვიცით, რომ თუ აწმყო არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია, იმაშიც ვართ დარწმუნებული, რომ მალე წარსდგებით გამარჯვებულ ხალხის შეუბრალებელ სასამართლოს წინაშე. მანამდის კი ჩვენ შეუდრეკლათ განვაგრძობთ ჩვენს ჩვეულებრივ საქმეს, საქართველოს რევოლ. ელემენტების დაგროვების, დარაზმვის საქმეს, კავშირის გამაგრება, გაღრმავებას.

წინ, წინ გასწით მეგობრებო,
ნუ შედრკებათ თქვენი გული...
წინ. ჭაბუკო კომუნარებო!
მეტი სიმტკიცე, შეგნება, ერთსულოვნება!
წინ. ბრძოლა, გამარჯვებისაკენ!

სავოწაროლა(?).

*) ამ საკითხს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით.

**საქართველოს დამფრთხალ „სოციალისტურ" მთავრობას გაშმაგებული იერიშები მოაქვს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის წინააღმდეგ. მის თავხედურ დაცემას ჩვენ დავუპირდაპირებთ რკინის სიმტკიცეს, ურყევ დისციპლინას, გამარჯვების შეუპოვარ ნებაყოფლობას და დაუშრეტელ აღმაფრენას. „Сим победишь молодой коммунист"!**

## კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

ყოველგვარ მოძრაობაში არის ორი მხარე: ობიექტიური და სუბიექტიური. სოციალისტურ რევოლიუციაში რომელიც მიმდინარეობს დღეს მსოფლიოში ობიექტიური მხარეს წარმოადგენს საწარმოო ძალთა განვითარების საფეხური, რევოლიუციის სუბიექტს კი პროლეტარიატი. რევოლიუციის სუბიექტიური მხარე არის მუშათა კლასის კულტურული განვითარება საწარმოო საშუალებანი არიან მამოძრავებელი ძალა საზოგადოების განვითარებისა. საწარმოო საშუალებანი ამყარებენ შესაფერ საწარმოო დამოკიდებულებას ადამიანთა და კლასთა შორის.

საწარმოო ძალები ვითარდებიან, დამოკიდებულება კი რჩება შეუცვლელი და ბორკავს მას. მაშინ ხდება რევოლიუცია.

მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება. იმ დროს, როდესაც ობიექტიური პირობები საწარმოო საშუალებანი მომწიფებული არიან რევოლიუციისათვის, ახალი საზოგადოების, ახალი საწარმოო ქონებრივ დამოკიდებულების დასამყარებლად, იმ დროს სუბიექტი რევოლიუციისა, მუშათა კლასი არ აღმოჩნდება თავის მოწოდების სიმაღლეზე. მუშათა კლასის კულტურული განვითარება უკან რჩება საწარმოო ძალთა განვითარებას და რევოლიუციაც იგვიანებს, რომ შორს არ წავიდეთ განა საწარმოო საშუალებათა განვითარების მდგომარეობა იმ პატარა იმპერიებში, რომელიც აღმოცენდნენ ამიერკავკასიაში და რუსეთის სხვა ნაწილებში არ არიან მომწიფებული სოციალისტური რევოლიუციისათვის, განა ამ სახელმწიფოებს, რომელიც არ წარმოადგენენ ეკონომიურ ერთეულს, არ აყვავდებოდნენ საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირით! დიახ, მომწიფებულნი არიან.

ულმობელი კანონი ეკონომიურ განვითარებისა მიდის ამ გზით—რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერის გზით. ეს შესაძლებელია და აუცილებელიც. სხვაფრივ საქართველოს და სომხეთს კატასტროფა მოელის, მუშათა და გლეხთა მშრომელ მასსებს განადგურება და აუწერელი ტანჯვა. ეს დიდი ხანია ცხადი(?) არის. მაგრამ მუშები და გლეხების ფართო მასსები მხოლოდ კატასტროფის მოახლოვების დროს მოდიან გონს და მხოლოდ მაშინ მიხვდებიან მდგომარეობას და ეძებენ ნამდვილ გამოსავალ გზას. თუ დღეს სოციალისტური რევოლიუცია არ არის გამარჯვებული, და მუშათა კლასს არ უჭყრია ძალა-უფლება სხვა და სხვა სახელმწიფოებში მიუხედავად ქონებრივი პირობების, საწარმოო საშუალებათა მომწიფებისა, ეს არის შედეგი მუშათა კლასის ფართო მასსების კულტურულ ჩამორჩენის, ასეთი მდგომარეობაა აქაც, საქართველოშიც საქართველო მივიდა კატასტროფამდე, მუშების და გლეხების ხსნა მხოლოდ საბჭოთა სისტემის შემოღებაშია. მხოლოდ საბჭოთა სისტემა და რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური კავშირი—აი ხსნა პატარა სახელმწიფოების პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის ხსნა.

საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა უნდა მტკიცედ აღიჭურვოს შეგნებით, კლასიური ბრძოლის შეგნებით. ყველა ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ თავის წევრთა შორის კლასობრიობის შეგნების შეტანას. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა შეიცავს ბევრ რამეს. აქ შედის სხვა და სხვა მეცნიერება; მაგრამ დღეს ჩვენი მთავარი ყურადღება მიქცეულ უნდა იქმნეს ახალგაზრდობის კლასიურად განსავითარებლად. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა უნდა განვითარდეს პოლიტიკურ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მისაღებათ.

რევოლიუციებმა დაამტკიცეს თუ რა შეუძლია პროლეტარულ ახალგაზრდობას. ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას მისცა ყოველგვარი საშუალება განვითარებისა. იქ ენერგიულად ებრძვიან წერა-კითხვის უცოდინარობას და დიდი ნაყოფი მოაქვს ამ ბრძოლას.

ჩვენ ასეთ საშუალებებს მოკლებული ვართ, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა ვებრძოლოთ წერა-კითხვის უცოდინარობას და სხვა ასეთივე მოვლენებს: მმართველი წრეები უსპობენ ახალგაზრდობას განვითარების საშუალებას, რათა გახადონ ის თავის მონა-მორჩილად. მმართველი ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციონური კლასი მიდრეკავს(?) მუშურ-ახალგაზრდობას სხვა და სხვა არანორმალურ მოქმედებისაკენ.

ბრძოლა ყოველივე არანორმალურ მოვლენებთან, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, ბრძოლა ახალგაზრდობის კლასიურ აღზრდისათვის—აი ჩვენი მიზანი და მთელი მომავლის მუშაობის ერთი ამოცანათაგანი. ამ პატარა წერილით ჩვენ დავსვით საკითხი. ეხლა მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს გამოიმუშაონ გეგმა ადგილობრივ და გამოსთქვან თავისი აზრი.

ტ. პ.

აქ იყო უდიდესი ინტიმიური კავშირი—კავშირი უდიდეს რევოლიუციონერის და რევოლიუციონურ ახალგაზრდობის შორის. აი რატომ გარს ეხვეოდა ლიბკნეხტს ახალგაზრდობა, აი რატომ, იყვნენ ეს ბავშვები ქუჩაზე ბრძოლის და დემონსტრაციების უძლიერესი გმირები. (ბუხარინი).

## ჩვენს კავშირში.

### ლანჩხუთი.

1920 წ. 28 ოქტ. შესდგა ლანჩხუთის ახალგ. მუშ. და გლეხთა კომუნისტური ორგანიზაციის მორიგი სამეცადინო კრება. მეცადინეობის წინ გარჩეულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) ქალთა იაჩეიკის გამოყოფა, 2) გაზეთის გავრცელება, 3) ახალი წევრების მიღება; 4) მეცადინეობა.

ქალთა იაჩეიკის გამოყოფაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. №, რომელმაც აღნიშნა, რომ რადგან წევრები დღითი-დღე გვემატება და ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ემატება ნორმალურს, ამისათვის საჭიროა გამოვყოთ ქალთა იაჩეიკა, ვინაიდან ეს წინადადება მიზანშეწონილი იყო, მიღებულ იქმნა ერთხმად და ასე ამრიგად, ლანჩხუთის ქალაქის ორგანიზაცია იყოფა 3 იაჩეიკათ: 1) ქალთა იაჩეიკა, 2) ვაჟთა იაჩეიკა და 3) ახალგაზრდა გლეხთა იაჩეიკა. ეს იაჩეიკები აწარმოებენ მეცადინეობას კვირაში ერთხელ, სხვა და სხვა დღეს.

გაზეთის გავრცელების შესახებ მოხსენება გააკეთა საგუბ. კომიტ. წევრმა, რომელმაც მოუწოდა ორგანიზაციის ყველა წევრებს, თანახმათ გუბკომის დადგენილებისა ყველამ გამოიწეროთ ჩვენი პარტიული გაზეთი „ახ. კომუნისტი" და მიიღონ აქტიური მონაწილეობა მის გავრცელებაში.

შემდეგ ამისა მიღებულ იქმნა ახალი წევრები ორი ამხ. რეკომენდაციით. ყველა ამ კითხვების გარჩევის შემდეგ შეუდგენ მეცადინეობას, მეცადინეობას ჯერჯერობით აწარმოებენ „ბუხარინის პროგრამიდან", მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან ჩვენი ამხანაგები: ყოველ მეცადინეობის შემდეგ იმართება მოხსენებები სხვა და სხვა თანამედროვე კითხვებზე, მოხსენების შემდეგ იწყება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ყველა ჩვენები.

კოლეგოწერა(?).

### სამტრედია.

სამტრედიის რაიონში უკვე დიდი ხანია არსებობდა და არსებობს ახალ. მუშ. და გლ. კომუნისტური ორგანიზაციები, მაგრამ მის არსებობას ხელს უშლიდა ადგილობრივი ადმინისტრაციის უმსგავსო მოქმედება, რომელიც ხშირათ თავს ესხმოდა ორგანიზაციებს და წევრებს, უყენებდა ათასგვარ შეურაცხყოფა(?) ბრალდებებს და აწუხებდა. მაგრამ მიუხედავათ ასეთი დევნისა, ახალ. მუშ. და გლ. უფრო მეტად ცდილობდა კავშირის მუშაობისადმი მისწრაფება. თუმცა არც ეხლა მომხდარა ცვლილება ადმინისტრაციის მოქმედებაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენი ორგანიზაციებს დღითი დღე ემატება ახალი წევრები. ახალ. მუშ. და გლეხ. სიმპატია ჩვენსკენ არის. ყველა სოფლებში არსდება ახალ. მუშ. და გლ. ორგანიზაციები, და შორს არ არის ის დრო, როდესაც მთელი სამტრედიის რაიონი მოიფინება ახალ.-კომუნისტური ორგანიზაციებით.

ნეხლი(?).

### ხონი

კვირას, 31 ოქტომბერს შესდგა ხონის ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის გაერთიანებული კრება, კავშირის წევრთა რაოდენობის მიხედვით კრებას დაესწრო უმრავლესობა. დღიურ წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ჩვენი კავშირის მდგომარეობაზე. 2) მოხსენება საგუბერნიო პლენუმზე ყოფილ ამხანაგისა. 3) იაჩეიკებათ დაყოფა და მეცადინეობა თანახმათ პლენუმის გადაწყვეტილებისა და 4) პარტიული დისციპლინა.

პირველ კითხვაზე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჩვენი (ახალგაზრდა კომუნისტური) კავშირის მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებში მიჩუმებული იყო. ამის მიზეზები უმთავრესათ ობიექტიური იყო, ვინაიდან, შემოდგომა ეს ის დროა, როდესაც ნამუშევარის მოწევა საჭიროა, ამიტომ თითქმის ყველა ჩვენი კავშირის წევრი მთელი დღე თავის ნამუშევარის მოკრეფას ანდომებდა დროს, მაგრამ მიუხედავათ ამისა კავშირის მუშაობა მას არ აეწყობოდა(?).

უკანასკნელი საგუბერნიო პლენუმის გადაწყვეტილებებს მოყვანილი(?) უამბობს კრებას ამხ. გ. მ—ძე. დელეგატის მოხსენებით საქართველოს ყველა კუთხეში ახ. კომუნისტური კავშირის მუშაობა სისტემატიურათ მიმდინარეობს. თვით ლეჩხუმში სადაც მთავრობა სასტიკი რეპრესიებით უმასპინძლდება ჩვენს ამხანაგებს, მათ შორის(?) ჩვენი კავშირის მუშაობა იქ უფრო ცხოველდება. ასევეა რაჭაში, გურიაში ჩვენი კავშირი ყველაზე მეტ თანაგრძნობას პოულობს და ის უდიდეს სისწრაფით ვითარდება. არა ნაკლებ წარმატებითია კავშირის მუშაობა სამეგრელოში, მიუხედავათ მთავრობის დესპოტიზმისა.

ამის შემდეგ კრება გადადის იაჩეიკებათ დაყოფაზე. არსდება სამი იაჩეიკა, წევრთა რიცხვი რომელთა აღწევს 40-დის: თვითეულ იაჩეიკაში შედის 10-ზე მეტი წევრი მიტომ, რომ პარტიას ცოტა გააჩნია ხელმძღვანელთა რიცხვი. იაჩეიკის მიზანია კავშირის მიზნების და მუშაობის შესწავლა. შესწავლა „კომუნიზმის ანბანისა" და კომუნისტური პარტიის ისტორია, პროგრამა ტაქტიკის განხილვა. თანახმათ პლენუმის გადაწყვეტილებისა, თვითეულ წევრს უნდა გამოეწერა ჩვენი პარტიული ორგანოები, მაგრამ კრებამ უფრო საჭიროთ დაინახა თვითეულ იაჩეიკაში პატარა ბიბლიოთეკის დაარსება და მისთვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.

დისციპლინის შესახებ კრება ერთხმათ ადასტურებს პლენუმის გადაწყვეტილებას. თვითეული წევრი კავშირისა მოვალეა დაიცვას კავშირში სასტიკი დისციპლინა. კრებაზე გამოუცხადებლობა წევრს ეპატიება მხოლოდ ორხელ, ისიც საპატიო მიზეზის მიხედვით, მესამეჯერ გამოუცხადებლობისთვის კი, თუ კი მან საპატიო მიზეზი და ისიც დიდ-მნიშვნელოვანი არ წარმოადგინა, წევრი იქნება გადაყენებული კავშირიდგან სამი თვით. კრება იმედს გამოსთქვამს, რომ მისი გადაწყვეტილებანი სასტიკი კონტროლის ქვეშ იქნება გატარებული. გარდა ამისა კრება მხურვალე სალამს უძღვნის გაზეთ „საქართველოს კომუნისტს". უსურვებს მას, როგორც პროლეტარული პარტიის ორგანოს, მხნეთ და მამაცათ ეტარებინოს ის დროშა სამართლიანობისა, რომელიც მას მაგრათ უჭირავს. მხოლოდ პროლეტარიატია თანამედროვე საზოგადოების მამოძრავებელი, შემომქმედი ძალა, მხოლოდ ის არის უძლიერესი ფაქტორი კაპიტალისტური საზოგადოებისა და მასვე ძალუძს მოუღოს ბოლო მის უსამართლობას.

დავ-გონი.

## მისაბაძი მაგალითი.

7 ოქტომბერს ადგილობრივ კომუნისტების ბიუროში ამხ. ახალგაზრდა კომუნისტმა მოწაფე კომუნისტებში წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე: „დემოკრატიული და საბჭოთა რესპუბლიკა". რეფერატი შინაარსიანი იყო. წაკითხვის შემდეგ რეფერატს მისცეს შეკითხვები, რის შემდეგ გაიმართა კამათი. სხვა ამხანაგებმა კიდევ უფრო გააღრმავეს რეფერატში გატარებული დებულებები. საერთოდ რეფერატმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. საჭიროა ასეთი რეფერატები ხშირათ იკითხებოდეს. ვუსურვებთ ამხ. ახალგ. კომუნისტსაც წინსვლას ამ გზაზე. ახალგაზრდა კომუნისტების ორგანიზაცია თან და თან ძლიერდება. ემატებიან ახალი წევრები და აწარმოებს მეცადინეობას. გადიან ბუხარინის პროგრამას. ამასთან გამოწერილი აქვთ გაზეთები და კითხულობენ სხვა და სხვა პარტიულ წიგნებს. ვუსურვებთ წინსვლას.

წევრი.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. დავ—გონს.** თქვენ წერილს საჟურნალო სტატიის ხასიათი აქვს, ამიტომ ჩვენს „ფურცელზე" ვერ წავა. თუმცა წერილი შეფარდებულია ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულს, მაგრამ ისეთი საკითხია იქ გაშუქებული, რომელიც არასოდეს არ არის ინტერესს მოკლებული, დაიბეჭდება ჟურნალში, რომლის გამოშვებას აპირებს ცენტ. კომიტეტი.

**ამხ. სპარტაკი.** თქვენ წერილში მეტი სანტიმენტალური(?) მასალებია გურიის ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ის შევგზავნოთ „საქართვ. კავშირის საისტორიო მასალების" კრებულისათვის, რომელსაც ადგენს ც. კ. კავშირისა.

**ოზურგეთის, ხიდისთავის, ჩოხატაურის ამხანაგებს.** გამოგზავნეთ ინფორმაცია, წერილები, კორესპონდენციები.

**ამხ. ზარტნელს(?).** თქვენი კორესპონდენცია თუმცა საინტერესოა, მაგრამ უადგილობის გამო არ იბეჭდება. შემდეგ დაიბეჭდება.

**დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.**

სტამბა „ეკონომია" დადიანის ქ. № 3.